თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 134
"18" 03 2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ", „პ" და „უ" ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" შესარჩევად დამტკიცდეს კონკურსის წესი და პირობები დანართის №1 შესაბამისად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ღოღობერიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ბ) ოთარ ნემსაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე (კომისიის წევრი);
გ) ნინო გვენცაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).
დ) გოჩა ბაბუნაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
ე) ირაკლი მურღულია – მოწვეული არქიტექტორი (კომისიის წევრი).
4. საკონკურსო კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს კომისიის აპარატმა შემდეგი შემადგენლობით:
ა) თამთა ლომიძე;
ბ) ნესტან ადვაძე;
გ) გიორგი ქიტესაშვილი;
დ) ირმა ალიმბარაშვილი.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**